უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 4

2016 წ. "18" 01

ქ.თბილისი

სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 218076542) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	პრაქტიკოსი ექთანი	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (090552)	147	V	50

2	ბაგა-ბაღის აღმზრდელი - პედაგოგი	ბაგა-ბაღის აღმზრდელი - პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (030254)	130	V	50
3	ვებპროგრამისტი	ვებპროგრამისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040167)	138	V	30
4	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040161)	130	V	30
5	ღონისძიების მენეჯერი	ღონისძიების მენეჯერის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020367)	124	V	40
6	სასტუმრო საქმის სპეციალისტი	სასტუმრო საქმის სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (112064)	108	IV	40
7	ბიბლიოთეკარი	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული	111	IV	30

		კვალიფიკაცია (070852)			
8	სარეკლამო აგენტი	სარეკლამო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020253)	100	IV	25

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 18 იანვრის №1 სხდომის ოქმის მე-4 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
თინათინ ბრეგვაძე